ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 19

15 ნოემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ, სოფელ წინუბნის საჯარო სკოლის (შემდგომში-შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ მელიქ პეტროსიანის სახით და მეორეს მხრივ (შემდგომში-მიმწოდებელი) შ.პ.ს ,,კეთილმოწყობა" ს/კ 424253195 წინამდებარე ხელშეკრულებით შევთანხმდით შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანია,საკანილზაციო სისტემის გაწმენდა CPV 90470000 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

**2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი**

2.1 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 140 (ასორმოცი) ლარს.112 (ას თორმეტი )ხელზე ასაღები 28 (ოცდარვა) ლარი საშემოსავლო.

2.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადახდისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**3. მიღება -ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1 საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომდგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მიმთითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3 ანგარიშსწორება ხორცირლდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი)სამუშაო დღის განმავლობაში.

**4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

4.1 მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

4.2 ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

4.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.5 მიმწოდებელი ვალდებულია: ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები.

5. პირგასამტეხლო

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში-ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. .
5.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში ,მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.ფორსმაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებეის შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
6.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომისა და ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილებისა, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

10. ხელშეკრულების ენა

10.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ზალის მქონე ეგზემპლიარად. ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთა, ერთი-შემსყიდველთან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთ მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით.

12 .მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

წინუბნის საჯარო სკოლა

ს/კ 224081570

სს ,,ლიბერთი ბანკი,,

ბანკის/კ LBRTGE 22

GE64LB0121153652540000

/მ. პეტროსიან/

მიმწოდებელი

შ.პ.ს „კეთილმოწყობა“

ს/კ 424253195

სს ,,ლიბერთი ბანკი,,

ბანკის/კ LBRTGE 22

GE94LB0113151737723000

/ ვ. ჟორჟანიძე /

მიღება -ჩაბარების აქტი

სოფელი.წინუბანი 16 ნოემბერი 2018 წ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ შპს ,,კეთილმოწყობა " სახით (მიმწოდებელი) და მეორეს მხრის სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წინუბნის საჯარო სკოლა (შემსყიდველი), მისი წარმომადგენელი დირექტორის მელიქ პეტროსიანის სახთ, ვადგინეთ მიღება-ჩაბარების აქტს შემდეგზე: 2018 წლის 16 ნოემბერს გაფორმებული იქნა ხელშეკრულება N ღირებულებით 140 (ას ორმოცი) ლარი.112 (ას თორმეტი) ლარი ხელზე ასაღები ხოლო 28 (ოცდარვა) საშემოსავლო.

სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის
სოფელ წინუბნის საჯარო სკოლის
დირექტორი

/მ. პეტროსიან/ ------------------------------------------

შ. პ. ს ,, კეთილმოწყობა" ------------------------------------------